

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი - ახალი მიდგომა სწორი გადაწყვეტილებისათვის

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი არის კონკრეტული წინადადებისათვის (პროექტის, საკანონმდებლო ან პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის) მოგებისა და დანახარჯების გაანგარიშებისა და შედარების პროცესი. ანალიზი გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რამდენად გამართლებული იქნება ესა თუ ის წინადადება.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისას ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლის და დანახარჯების (მაგალითად: გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიკური გარემო, გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, სუფთა გარემო და ა.შ.) ფულადი სახით გამოხატვა. ანალიზისას დრო წარმოდგენილია ფულის ექვივალენტით ისე, რომ მოგება და დანახარჯი გარკვეული დროის შემდეგ გამოისახოს მათი რეალური ღირებულებით, რაც გულისხმობს ფულის ერთეულის დღევანდელი ღირებულების შედარებას იმავე რაოდენობის ფულის ერთეულის სამომავლო ღირებულებასთან.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის დახმარებით სახელმწიფო უწყებები, საწარმოები თუ სხვა ობიექტები იღებენ გადაწყვეტილებას, ღირს თუ არა მოცემული პროექტის ან პოლიტიკის განხორციელება. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი ეფექტურია, რადგან თანხობრივად აფასებს განსახორციელებელ პროექტს და ახდენს მის ამომწურავ შეფასებას. ანალიზისას ხდება სხვადასხვა ალტერნატივის შედარება და ეს იძლევა მათგან ყველაზე მომგებიანი პროექტის არჩევის საშუალებას.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისათვის არსებობს მრავალი მოდელი. აგრეთვე შესაძლებელია საკუთარი მოდელის შექმნაც კონკრეტული წინადადებისათვის, რომლის უპირატესობაც მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ანალიზის მორგება ქვეყნის ან განსახილველი სფეროს თავისებურებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ანალიზი აჩვენებს, რომ მოცემული პროექტის, წინადადებისა თუ პოლიტიკის მოსალოდნელი სარგებელი მეტია დანახარჯზე, მაშინ მათი დანერგვა გამართლებული იქნება.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. ის, რომ ანალიზისას ხდება არასაბაზრო საქონლის და მომსახურების ფულადი შეფასება, მას უფრო ართულებს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ანალიზი არის გადაწყვეტილების მექანიკურად მიღების მექანიზმი. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანალიზს არ შეუძლია გადაჭრას პროექტისა ან პოლიტიკის შეფასების პრობლემები. პროექტს, შესაძლოა, ჰქონდეს დანახარჯზე მეტი სარგებელი, მაგრამ უარყოფილ იქნას მიუღებელი არგუმენტებით გამყარებული საფუძვლის გამო, მაგალითად, თუ ის არ შეესაბამება ან შეურაცხყოფს მიღებულ ბნეობრივ ნორმებს.

მიუხედავად მისი სირთულისა, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტია, რომელიც აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღებას და ხელს უწყობს უკეთესი პოლიტიკის განხორციელებას.

მსოფლიოში ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი ფართოდ გამოიყენება მთავრობებისა და სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ათწლეულების მანძილზე. ეს ანალიზი უკვე

დანერგილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და წარმატებით სრულდება. ასე, მაგალითად:

ავსტრალია მრავალი წლის მანძილზე ატარებს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს. პირველად ეს ანალიზი საცდელი ფორმით ჩატარდა ავსტრალიის მთავრობის მიერ 1890 წელს ეროვნული რკინიგზის უნიფიცირების პროექტის შესაფასებლად. მას შემდეგ, დროთა განმავლობაში მოხდა ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის პრაქტიკის დანერგვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი პირველად ჩატარდა 1900 წელს წყლის ირიგაციის პროექტის განხილვისას. 1936 წელს კონგრესმა ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის წყალდიდობის მაკონტროლებელ პროექტებში გამოყენებას კანონიერი სტატუსი მიანიჭა. დიდ ბრიტანეთში ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი პირველად ჩატარდა საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტის პროექტების შესაფასებლად 1960 წელს. ევროკავშირი ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს იყენებს სხვადასხვა პოლიტიკისა და პროექტების შესაფასებლად.

რაც შეეხება საქართველოს, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი სიახლეს წარმოადგენს და ამჟამად მიმდინარეობს მისი შესწავლის და დანერგვის პროცესი. მაგალითად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ამ ანალიზის შესწავლა, სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, სამსახურისა და სსიპ-ის წარმომადგენლებისაგან შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული ეკონომისტ-კონსულტანტი, მაიკლ უილიამსი.

ზოგადად, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა სპეციალური ჯგუფის ორგანიზება, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ ერთი ეკონომისტისა და კონკრეტულად

იმ სფეროში მომუშავე პერსონალისაგან, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ უკავშირდება შესაფასებელ პოლიტიკას, პროექტსა თუ წინადადებას. შესაბამისად, საჭიროა კონკრეტული სფეროების შესახებ საბაზისო ცოდნა.

გამოყენებული მასალა:

1. მაიკლ დ. უილიამსი – ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მიმოხილვა
2. მაიკლ დ. უილიამსი – ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის ჩატარების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა
3. <http://press.anu.edu.au//agenda/016/03/html/ch03s03.html>